პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულო კოდექსის 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212833790), სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების პირველი და მეორე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212833790), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა №3-ის აღმოსავლეთით (ფართობი: 400.0 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.24.281), 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. აღნაგობის უფლების ვადა აითვლება წინამდებარე განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან.

2. აღნაგობის უფლების ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1 კვ.მ-ზე შეადგენს 30 ლარს, სულ ჯამში: 12 000 (თორმეტიათასი) ლარს." ყოველი 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ მოხდეს აღნაგობის უფლების ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით."

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს აღნაგობის ხელშეკრულების (№16; 26.04.17წ.) ცვლილების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შპს ,,ფლამინგოს" დირექტორის განცხადებები, რომელიც შეეხება 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებული №16 აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების შეცვლას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2003 წლის 23 სექტემბერს ჩატარებული აუქციონის შესაბამისად, თამარ მეფის ქუჩის მხრიდან, ყოფილი კინოთეატრ საქართველოს დასავლეთით მდებარე 120.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე /ს.კ. N03.03.01.316/ გაფორმებული იქნა საიჯარო ხელშეკრულება, რომელზედაც განთავსდა ასაწყობი კონსტრუქციის მინაპლასტიკისაგან დამზადებული ერთსართულიანი ნაგებობა. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვრა 10 (ათი) წლით. შესაბამისად აღნიშნული ხელშეკრულების ვადა დასრულდა 2013 წლის 26 ნოემბერს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29.03.2017წ. №377 განკარგულების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 13.04.2017წ. №1023 ბრძანების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2017 წლის 26 აპრილის №16 აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,ფლამინგოს" / ს.კ. 212833790/ აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა №17-ის დასავლეთით მდებარე სკვერის ნაწილი, ფართობით 310,0 კვ.მ. /ს.კ. 03.04.21.292/. ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6,5 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს ,,ფლამინგოს" / ს.კ. 212833790/ მიერ გასხვისებული იქნა აღნაგობის უფლება, რომელიც შეისყიდა შპს ,,ლიმამ" /ს.კ 429651824/, აღნაგობის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების, დამოწმების თარიღი 08.05.2017 წელი.

2017 წლის 8 ივნისს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,სათაფლიამ" განცხადებით მიმართა ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ქალაქ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით საქმე №080315617001960463 (3/ბ-321-17 წელი) დაკმაყოფილებული იქნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,სათაფლიას" განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. კერძოდ: ,,აეკრძალოს შპს ,,ფლამინგოსა" და შპს ,,ლიმას" სარგებლობაში აღნაგობის უფლებით გადაცემულ, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა №17-ის დასავლეთით მდებარე სკვერის ნაწილზე, ფართობით 310,0 კვ.მ. /ს.კ. 03.04.21.292 წინა №03.04.01.379/ სამშენებლო სამუშაოების წარმოება (მათ შორის ტერიტორიის შემღობვა - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,სათაფლიას" სარჩელზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე" .

2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტის შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით უნდა განხორციელებულიყო შპს ,,ფლამინგოსათვის" ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა №17-ის დასავლეთით მდებარე სკვერის ნაწილის, ფართობით 310,0 კვ.მ. /ს/კ №03.04.21.292;/ მონაცვლეობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" სარგებლობაში

გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი